K 6.781/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტ. კეტრ. — ფვილი

მეზაკვრის ფენიმეები

[ჩვენ მოგვარაკეთა საყურადღებოთ]

ხაშური, ბორჯომი, ბაკურიანი, აბასთუმანი ბარზმა, ახალციხე, საფარა, ფულევი. ქართ. შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების საყურადღებოთ.

ფასი 5 კაპ.

წმინდა ძვირფასავალი იქნება გადადებული დასავლეთ საქართველოში და ქართლში დაზარალებულთა სასარგებლოთ.

ბათუმი
სტამბა ბ. ბილაძის და ბ. თავართქილაძის
1906

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტ პეტრ.-შვილი.

ბაკური

ჩვენ მოაგვარაკეთა

საყურადღებოთ

ბაკური

ხაშური, ბორჯომი, ბაკურიანი, აბასტუმანი, ზარზმა, ახალციხე, საფარა, ჭულევი. ქართ. შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების საყურადღებოთ.

K6.78 | 3

1 3

5805
10484

1990-2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი
სტამბა ბ. ქილაძის და ბ. თავართქილაძის.
1906.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრის შენიშვნები

(ჩვენ მოგვარაკეთა საყურადღებოდ).

ხაშური, ბოლოჯომი, ბაკურიანი, აბასთუმანი, ზარზმა, ქართ. შოლის ნ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების საყურადღებოთ. ახალციხე, საფარა, ჯულევი.

ბათუმიდგან მომავალი მატარებელი ხაშურში დილა ადრიან მოვიდა. სადგურზე ბლომათ ირეოდენ სოფლელი გლეხები. ვაკვირდებოდი, მინდოდა ამომეკითხა იმათ სახის გამომეტყველებაში რამე არა ჩვეულებრივი. ისინიც ხომ სხვა ჩვენ გლეხობასთან ერთათ ახალ ისტორიულ ხანას ჰქმნიან. ქალაქნებში, ჭრელი ხელსახოცით თავწაკრულნი წყნარად და მშვიდათ გამოიყურებიან. გაშლილი სახე ისე გაჰბრწყინვებიათ, როგორც ეს მშვენიერი დილა. სხვა წოდება რომ ასეთ დიდ ისტორიულ საქმეს აკეთებდეს, ეთელი მისი არსება აივსებოდა სიამაყით და მედიდურობით. უყურებ ჩვენ გლეხს და ვეშვიდდები; უიმედობა, სასოწარკვეთილება იმედათ მექცევა: ბედმა რაც უნდა დასჩაგროს, რაც უნდა უბედურება დაატყდეს თავზე, სულით არ ეცემა, წელში არ ტყდება. გამარჯვებული იგი მხნეთ შეუდგება განახლებულ ცხოვრების გზას. წარმოვიდგენ ჩვენს წარსულს: „ბრწყინვალე, კეთილშობილი“ წოდება, სამშობლოს ბურჯათ აღიარებული, ყოველთვის იყო დაჯილდოვებული მამულით, წყლით, მთით. იმას ანიჭებდა მეფე უფლებას, პატივს, ყმას. ჩვენი გლეხი, რომელიც „ბრწყინვალე“ წოდების წინ იდგა და თავის მკერდით იცავდა სამშობლოს და სარწმუნოებას, მტრისაგან, არაფერ ჯილდოს არ თხოულობდა. ჯილდოს მაგივრათ თავისუფლება დაჰკარგა, იმ „ბრწყინვალე“ წოდების, რომლის გვერდით სისხლს ღვრიდა, მონათ, ყმათ, გახდა. რანაირი უსამართლობაა! გადავარდა მონობა-ყმობა, გლეხები მაინც მონებათ, ყმებათ დარჩნენ: იმათ მიწა არ ერგოთ საკუთრებათ. ის მიწა, რომელსაც ისინი ათასი წლობით ჰფლობდენ, მუშაობდენ, რომელიც გაჟღენთილი იყო მათი სისხლით და ოფლით, საკუთრებათ არ ერგოთ! უ სიტყვოთ, უჩივლელათ შეება მონობის ახალ უღელში ჩვენი გლეხობა. ამნაირმა უსამართლობამ კინალამ დაჭლუპა ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ერი. დავეცით სულიერათ. გადაგვარების გზას დავადექით. ჩვენი ისტორიული არსებობა გვესპობოდა. განა ყველაფერი ამას არ მოასწავებდა?—ეკონომიურათ დაჩაგრული და დაბეჩავებული ჩვენი გლეხობა იმის ცდაში იყო, შიმშილით არ მომკვდარიყო. სამღვდელოება დაჭშოლდა ხალხს, მიზანი თავის არსებობისა დაჭკარგა და კუჭს დაუწყო სამსახური. „ბრწყინვალე“ წოდება მხიარულ ცხოვრებას მიეცა. მცონარი და არას მქნელი, მათხოვრათ, სხვის ხელში შემყურეთ გადაიქცა, საფანელი რომ შემოაკლდა. მისთვის აღარ არსებობდა ხალხი, სამშობლო! უზომო მადა გახსნილი იმაზე ჰფიქრობდა, კუჭი გაეძღო და ფუჭი „კეთილშობილური“ თავმოყვარეობა დაეკმაყოფილებია. თუ ის მოახერხებდა ბანკში მამული დაეგირავებია, შვილი კორპუსში სახელმწიფო ხარჯზე მიეცა და თითონ ბრაპორჩიკის ჩინი მიელო, კმაყოფილი და უდარდელი ლაღათ მიეცემოდა განცხრომას, ქეიფს. „უზრუნველი, უდარდელი, მოქეიფე, მხიარული, ზარმაცი ქართველი“, ეს ეპიტეტები ჩვენმა „ბრწყინვალე“ წოდებამ შეგვმატა, თორემ ქართველი ხალხი საერთოთ, ქართველი გლეხი განა ზარმაცია?—ჩვენი ინტელიგენცია, უძლური და განუვითარებელი, პესსიმიზმს, სასოწარკვეთილებას მიეცა. ინტელიგენტებს ხალხი უყვარდა, მისთვის კეთილი უნდოდა, მაგრამ მას არ იცნობდა, და არ იცოდა, რანაირად შეემსუბუქებინა ხალხისთვის გასაჭირი და მძიმე ულელი. მის მოლუშულ, დაბნელებულ სახეზე აღიბეჭდა უიმედობა და სასოწარკვეთილება. ამ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ერი გლეხობამ იხსნა; უფსკრულის პირზე მიმდგარი—გლეხობამ გადაგვარჩინა და გაამართლა პოეტის სიტყვები: „არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავს“. დიახ, ჩვენ მტრებს მკვდარი ვეგონეთ, მაგრამ, არა; გვძინავდა და გავიღვიძეთ, აღვსდექით მკვდრეთით! მადლობის მაგივრათ გლეხობის წინაალმდეგ ჩვენმა „ბრწყინვალე“ წოდებამ შავი მებრძოლი რაზმი შეადგინა. ვაი სირცხვილო! მის მაგივრათ რომ ამ მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა შეეგნო და გვერდში ამოსდგომოდა გლეხობას, „ბრწყინვალე“ წოდება მის წინაალმდეგ მოქმედებს! თუ რამე ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოს წინაშე ჩვენ „ბრწყინვალე“ წოდებას, თავის შეუგნებლობით სულ გააქარწყლა ეს ღვაწლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ბორჯომიც. ამ ზაფხულს მოგარაკეებმა დაავიანეს მოსვლა. სახლები ძალიან იაფი იყო და ბევრი ცარიელი დარჩა.

ბაკურიანიც მეტოქეობას უწევს ბორჯომს. ბაკურიანის გზაზე მდებარე სოფლები ჭშვენიერ საგარაკო ადგილებს წარმოადგენენ. ცოტა ხნის შემდეგ სოფ. დაბა, ცაგვერი, ლამბაშიძის პატარა ცემი და ბაკურიანი უფრო მეტ მოგარაკეთ მიიზიდავს, მინამ მტვერიანი, ნოტიო და ძვირი ბორჯომი. ჭშვენიერი ნაძვის და ფიჭვის ტყეები, კარგი ჰაერი და მდებარეობა კაი მომავალს უქადის ამ ადგილებს.—

ვერც აბასთუმანმა მიიზიდა ხალხი. მოგარაკეებში ქართველობა სჭარბობს. უმეტესობა ქუთაისიდგან და სამეგრელოდან არიან. ბევრი ავადმყოფი ემადლიერება აბასთუმანს. მოგარაკენი სცდილობენ არ მოიწყინონ. ქართული წარმოდგენაც გამართეს სცენის მოყვარეებმა ახალციხის ქართული სკოლის სასარგებლოთ. წარმოადგინეს „მარუჩა", ითამაშეს ისე, როგორც ყველგან თამაშობენ სცენის მოყვარეები, მაგრამ მე არ შემიძლია არ აღვნიშნო ქ. ქეთო ხუბუას (ქუთაისიდგან არი) თამაში მარუჩას როლში. თუმცა სცენაზე პირველათ იყო გამოსული, მაგრამ დრამატიულ ადგილებში, მეტადრე მეორე მოქმედებაში, თავისი ნიჭიერი აღტაცებული თამაშით მთელი საზოგადოება გაიტაცა. მივაქცევ ქ. ქ. ხ.—ზე ვლ. მესხიშვილის ყურადღებას. შემოსავალი კარგი იყო, მაგრამ, როგორც სთქვეს, ხარჯი ბევრი იყო და ცოტა დარჩა. ზოგიერთ ხელგაშლილ გამგეს ისე მოსდის, როგორც გორში ერთ პირს მოსვლია. ამ დღეებში „ივერიაში" იყო დაბეჭდილი ამ პირის ანგარიში წარმოდგენის, რომელიც გაუმართამს ქ. გორში წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ; „შემოსავალი იყო 245 მ. 51 კ., ხარჯი—243 მ., წმინდა შემოსავალი დარჩა 3 მ. 51 კ ...

17 აგვისტოს რავაც იქნა გავბედეთ რამდენიმე ქართველმა (უმეტესობა ქალები იყვნენ) წასვლა ზარზის ეკლესიის სანახავათ. ამ დღეს მიდიოდა ზარზმაში ბ. ტ.—რგი, აბასტუმნის სასახლის გამგე, რომელსაც აბარია განახლებულ ზარზმის ეკლესიის გასაღები. ამ 6—7 წლის წინათ მემკვიდრე ცესარევიჩ გიორგის ბრძანებით და ხარჯით დაუწყეთ რესტავრაცია ზარზმის ეკლესიის, რომელიც წარმოადგენს შესანიშნავ ნაშთს ჩვენის ძველის ხეროთ—მოძღვრების და მხატვრობის ხელოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისას. რესტავრაცია მინდობილი ჰქონია და შარშან ოქტომბერში კიდეც დაუსრულებია მხატვარს სლავცევს. რადგან თურმე მნახველები ეკლესიის შიგნი კედლებზე თავის სახელს ჯლაჩნიდნენ, ეკლესია დაუკეტიათ და თუმცა ყარაულიც ჰყავს მიჩენილი, კლიტე აბასტუმანში სასახლის გამგეს ბ. ტ.—ბერგს აბარია, ასე, რომ თუ ვისმეს უნდა ეკლესიის ნახვა, კლიტე აბასტუმნიდან უნდა წაიღოს. ზარზმა ქვაბლიანის ხეობაზეა, ბათუმისკენ მიმავალ საფოსტო გზაზე. აბასტუმნიდამ 25 ვერსია, ახალციხიდან 32. გზა მშვენიერია. დილის 8 საათზე გასული თერთმეტის ნახევარზე იქ ვიყავით. სოფ. აღიგენს რომ გასცდები, იწყება სოფ. მლაშე, საიდგანაც უკვაოთ გამოჩნდება საფოსტო გზის მარცხნივ მაღლობი სოფ. ზარზმა, რომლის შუაგულში ამაყათ ამართულა თლილის ქვით ნაშენი მშვენიერი ეკლესია და გადაჰყურებს ქვაბლიანის ხეობას. თუთხმეტი წამი ფეხით სავალი და აი ხარბათ შევყურებთ ეკლესიის გარეგნობას. სიდიდით და სიმაღლით მცხეთის ტაძარს არ ჩამოუვარდება. ჩუქურთმით ნაკეთები დიდი ჯვრები კედლებში თვალს იტაცებენ თავის მშვენიერებით. ეკლესიის შუაზე გარშემო სარტყელივით უვლის ჩუქურთმა, რომლის სხვა და სხვაობას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. ეკლესია და სამრეკლო იქა აქ ახალათ არი დახურული თლილის ქვით. შესავალი, რომელიც არი სამხრეთით, მოჩუქურთმებულია წარწერებით და ჩუქურთმით. აი გაიღო კარები და შევედით შიგნ... თვალი ამებნა, ამტანი მხატვრობა ერთბ.ით მე არ მინახამს, ჩემს განცვიფრებას და მასთან აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა ბევრი ნახატების გამოფენა და მხატვრობის გალერეიები მინახამს, მაინც ამისთანა არაფერი არ მინახამს. შეიძლება კიდევ იმიტომ, უფრო გამაკვირვა ყველაფერმა, რომ ამნაირ უცხო სანახავს არ მოველოდი. სუყველა კედლები, გუმბათი, თაღები, სვეტები, მთელი ეკლესია დასურათებულია, მხატვრობით არის სამსე. ეგი წარმოადგენს დიდ მხატვრობის გალერეიას. თვალი ამიჭრელდა, არ ვიცოდი, რისთვის მიმექცია ყურადღება. ყველაფერს ბარბათ ვუყურეფ, მაგრამ თვალი მაღე იღლება. 5—6 საათის განმავლობაში სამჯერ შევედი მხატვრობების სანახავათ. მეორეთ და მესამეთ რომ შევედი, ასე მეგონა, პირველათ ვხედამდი ყველაფერს. განა ერთ დღეს შეიძლება ყველაფრის ნახვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირე მაინც უნდა, რომ ყველა სურათი, ყველა რთული, მდიდარი მხატვრობა დაათვალიერო და უნახავი არაფერი დაგრჩეს. მთელი მხატვრობის და წარწერების შესწავლას და აღწერას ხომ მთელი თვეები უნდა. ქვედა კედლის მხატვრობა, სურათი იმ ქვაბლიანის ერისთვის, (როგორც ჰფიქრობენ ხურსიძის), რომელსაც აუშენებია ზარზმის ვკლესია მე XI საუკუნის ნახევარში იოანნე მახარობელის სახელზე, სურათი მეფე ბაგრატ მე IV, რომლის მეფობის დროს აშენებულა ზარზმის ეკლესია, სურათები ოთხი ხუროთმოძღვრის, რომელთაც აუგიათ ეს ეკლესია და სხვები, ეს სურათები მაინც და მაინც მხატვრობის მხრით არაფერ შესანიშნავს არ წარმოადგენენ. ამ სურათების ზევით კი იწყება კარტინები, მთელი კომპოზიციები, ძველი და ახალი სამლვთო ისტორიიდგან. ეს მხატვრობა სულ სხვანაირია, ისეთ სიშვენიერეს წარმოადგენს, რომ თვალს ვერ ლარ აშორებ, სულ გინდა უყურო. აი შუაგულ გუმბათში ქრისტეს სურათი, საკურთხეველში მლვთის მშობლის, რომელთაც მანამდი უყურეფ, სანამ კისერი არ გეტკინება და თვალები არ დაგელლება. შესავლის პირდა პირ კედელზე დიდი ადგილი უჭირამს ქრისტეს დაბადებას, რომელსაც მთელი საათი უნდა უყურო, რომ წარმოდგენა იქონიო ამ რთული კომპოზიციის. მე არც დრო და არც ცოდნა შემწევს, რომ ავსწერო ზარზმის ეკლესიის მხატვრობა. მე მინდა განვუზიარო მკითხველს ჩემი შთაბეჭდილებანი და გულწრფელათ ვურჩიო როდესაც თავის სიცოცხლეში უეჭველათ ნახო ზარზმის, საფარის (რომელზედაც ქვეით იქნება ლაპარაკი) და ჭულევის (ზარზმის ახლო ყოფილა) ეკლესიები. კვამლისაგან გაშავებული მხატვრობა სლავცევს გაუწმენდია. თუ სადმე დაზიანებული ყოფილა რომელიმე ნაწილი სურათის, იგი მიდიოდა თურმე გელათში. იქ ილებდა ქალალდზე შესაფერ ნაწილს და იმის მიხედვით შეასწორებდა სურათს ზარზმაში. სადაც ამაღლებაა დახატული, იქ თალი ყოფილა გამონგრეული. მთელი კარტინა შენახულა, ქრისტეს სურათი კი დაზიანებულა და ახლათ არი დახატული. რაც უნდა გამოუცდელი იყო მხატვრობაში, მაშინვე შეატყობ, რომ ეს სურათი ახალი და არა ძველი მხატვრობა არი. შესწორება ეტყობა უფრო დასავლეთ კედლის მხატვრობას. სხვა მხატვრობა თითქმის უცვლელათ არი დარჩენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. იატაკი ახალი, თლილის ქვით არი დაფენილი. სიგანე შიგნი ეკლესიას აქვს 23 ნაბიჯი, სიგძე—36 ნაბიჯი. ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები გადაუტანიათ გურიაში სოფ. შემოქმედში, სადაც აშენებულია ეკლესია, ზარზმათ წოდებული და იქ ინახება ეს ნივთები. ძველი სტილის ტრაპეზს ამზადებენ. კურთხევისთვის უნდა მოვიდესო ქვრივი დედოფალი. ამბობენ ზარზმაში კურთხევის შემდეგ აზრათ აქვთ რუსის მოლაზნები ჩააყენონ. საფარის მონასტრის ბერებმაც ითხოვეს, რომ იმათთვის გადაეცათ ზარზმის განახლებული ეკლესია, მაგრამ უარი მიიღესო. ზარზმის ახლოს, საფოსტო გზის მარჯვნივ სოფ. ადიგენის თავზე ტყეში ყოფილა ზარზმის ეკლესიის მაგვარი ძველი ეკლესია, შესანიშნავის ხელოვნებით ნაშენი. სახელათ ჰქვია ჭულევის ეკლესია.

ქართველი მუსულმანების სოფლები და საზოგადოთ ბორჯომის, ოცხის, ქვაბლიანის ხეობები, როგორც ყველა ჩვენი ქვეყნის კუთხე, მოფენილია ციხე—სიმაგრეების და ეკლესიების ნანგრევებით, ჩვენი ძენი ძველი კულტურის უტყუარი საბუთებით. ახალციხის ციხე, აბასტუმნის (ოცხის) შესავალში თამარის ციხე, სოფ. ბოლაჟურის თავზე ოქროს ციხე და მრავალი სხვანი ნალვლიანათ და საყვედურით გადაჰყურებენ გამაჰმადიანებულ ქართულ არე—მარეს. მწარე ფიქრები წარსულისაკენ მიტაცებენ.. მამულისთვის თავდადებულმა გმირებმა ვერ დაიფარეს სამშობლო. ქვით და კირით ნაშენ სიმაგრეებში იძლივნენ იგინი ურიცხვი მტრებისაგან. დაჰკარგეს სამშობლო, დაჰკარგეს თავისუფლება. დამონავებულ სამშობლოს მხერამ იმათ შთამომავლობას გაუქრო გმირული სული. დავბეჩავდით, გავთახსირდით, დავეცით სულით, არა თუ გამაჰმადიანებული საქართველო დავიბრუნეთ და გადავარჩინეთ გადაგვარების გზას, ჩვენ თითონ გადაგვარების გზას დავადექით. სულით ლატაკნი, ნივთიერათაც გავლატაკეთ. სხვის ხელში შემყურე გლახაკებათ გადავიქეცით. ჩვენ ძველ არე მარეში სხვა ერი გაბატონდა. ამ უზარმაზარი ციხეების და ეკლესიების ამშენებელთ შთამამავალნი ჟოლოს ჰყიდიან და ქუჩებს ჰგვიან. ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანებს დავიწყებიათ ენაც და შთამომავლობაც. ვერ მივხედეთ, ვერ ვუპატრონეთ ჩვენ მოძმეებს, ჩვენ სისხლს და ხორცს, რადგან ჩვენ თითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაცდელში ვიყავით, ხსნა თუ იყო საიდგანმე ალარ გვეგონა; სასოწარკვეთილებამ მოგვიცვა. მტერს და მოყვარეს, საქართველო დაღუპაო, ეგონა. სისხლით ნაშენი ციხენი ობლათ გადაჰყურებენ ნაკნოტ არე—მარეს. მაგრამ... ჩუ... რალაც ხმა გაისმა ბარში! „ძმობა, ერთობა, სიყვარული კაცთა შორის“ ძლავრათ გაისმა ჩვენ ხალხში. შეინძრა საქართველო კიდით—კიდემდე; შავი ზღვიდან მოკიდებული კავკასიის მთებში ქუხილივით დაიჭექა ამ ხმამ და ღრმა ძილისაგან გამოღვიძებულმა სვანმა და მთიულმა ლონივრათ ბანი მისცა ბარელს. თითქოს დევ—გმირი ხანგრძლივ ძილს გამოერკვა! დიახ გაცოცხლდა, ამოძრავდა ივერთ ქვეყანა; განახლებული ძალაშემოსილი მკვდრეთით აღდგომას აპირობს საქართველო: ხალხის გულში გაიღვიძა დავით აღმაშენებელის გენიამ, თამარ მეფის დიდმა სულმა და სათნოებამ! როგორც დავითმა და თამარმა ააშენა და ააყვავა საქართველო, ისე ჩვენი გაღვიძებული ხალხი ააშენებს და ააყვავებს დაცემულ საქართველოს. ციხენი, რომელნიც ნაშენი იყვნენ ქვით და კირით, ვერ გაუმაგრდენ მტერს. დრომ, ჭარმა და ნიაღვარმა ნანგრევებათ აქცია იგინი. ციხე სიმაგრენი კი, რომელთაც ხალხი ააშენებს, იქნებიან საუკუნოთ უძლეველნი, რადგან ხალხის გენია იმათ საძირკვლათ უდებს ძმობას, სიმართლეს, ერთობას. სიყვარულით და სათნოებით აღძრულმა ჩვენმა ხალხმა პირველმა გამოუცხადა ძმობა და ერთობა მეზობელ ერებს: სომხებს, თათრებს, ოსებს და ლეკებს. მწამს და მჯერა, რო ძმობას, სიყვარულს და ერთობას გამოუცხადებს აგრეთვე თავის სისხლით და ხორცით ძმებსაც—გამაჰმადიანებულ ქართველობას. ის, რაც ვერ შესძლო ჩვენმა უძლურმა ინტელიგენციამ, შესძლებს ჩვენი ძლევა—მოსილი ხალხი და მთელ საუკუნეობით მოწყვეტილ ძმებს დაგვიბრუნებს.

25 წელიწადზე მეტი არსებობს ჩვენი წერა-კითხვის გაძავრცელებელი საზოგადოება და ამ ხნის განმავლობაში 25 მაჰმადიანს ვერ ასწავლა წერა-კითხვა. მკირეა, თითქმის უნაყოფო მისი მოქმედება: ოთხი—ხუთი შკოლა, ოთხი—ხუთი საახალხო ბიბლიოტეკა, წელიწადში ოთხი—ხუთი წიგნის გამოცემა, აი სულ რაში გამოიხატება მუშაობა იმ საზოგადოების, რომელსაც დამაარსებელთა აზრით უნდა აეყვავებინა საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სწავლა განათლებით, მოეფინა მწიგნობრობა და წერა—კითხვა ჩვენ მოძმე მუსულმანებში არა თუ აქ, ჩვენში, ჩვენ მოსაზღვრე სათათრეთშიაც. ვალაი ედოთ მოენახათ და მოევლოთ ჩვენი წარსული დიდების ნაშთებისთვის. ვერაფერი ეს ვერ გაიკეთა წ. კ. გ. საზოგადოებამ. მთელ ქვაბლიანის ქართველობას დავიწყებია ქართული ენა და თათრულათ ლაპარაკობს. აბასტუმნის შესავალში მდებარე სოფ. ვარხანი, ცოტა ქვეით ბენარა, საიდგანაც საფოსტო გზა უხვევს ბათუმისკენ ამ გზის მარჯნივ და მარცხნივ მდებარე სოფლები ნაქურდევი, ხევაშენი, ხერო, უნწა, შულავერი, ბოლაჟური, ენთელი, ორი სოფ. სმა-და (ძმა-და), კახარეთი, ყარათუბანი, ადიგენი, მლაშე, ფლატე, ზარზმა, უტუს-უბანი, გოდერძი და სხ. დასახლებულია თათრულათ მოლაპარაკე ქართველ მაჰმადიანებისაგან. რამდენი დამცირება, რამდენი ტანჯვა-წამება უნდა გამოევლო, სინამ ქართული ნანა ქართველმა დედამ თავის პირმშოს უცხო ენაზე დაუმღერა! (აგერ ორ თვემდე იქნება ქვაბლიანის და ბორჯომის ხეობებში დავდივარ; იქნება დედები მღერიან სახლში, მაგრამ არც კაცის, არც ბავშის სიმღერა არ სმენია ჩემ ყურს!). მაინც გასაოცარი მოვლენაა! ქვაბლიანის მეზობლათ სცხოვრობენ დასავლეთით ქართულათ მოლაპარაკე აჭარლები; გურიაც ახლო არი. იქვე გვერდით წმინდა ქართულათ მოლაპარაკე ქართველი კათოლიკენი სცხოვრობენ სოფ. ვალეში, ნიოხრებში, აბათხევში, წინუბანში; არალში, წყალთბილაში, უდეში. ქართველი მუსულმანები ბორჯომის ხეობაში და ახალციხის გარშემო მდებარე სოფლებშიაც ქართულათ ლაპარაკობენ. ქვაბლიანელებს კი დავიწყებიათ ქართული ენა XVII საუკუნის დამდეგიდან ორი საუკუნის განმავლობაში. იმისთანა ნაშთები ჩვენი წარსულ კულტურის, როგორც არიან საფარის, ზარზმის და ჭულევის ეკლესიები ხელმეორეთ გვეკარქება. საფარის მონასტრის 50 ბერში არც ერთი ქართველი ბერი არ ურევია. ზარზმის განახლებულ ტაძარში უნდათ ჩააყენონ არა ქართველი მოლოზნები. ჭულევის ეკლესიასაც მალე დაეპატრონებიან. მე ქართველი ბერების და მოლოზნების მომხრე არა ვარ. კლერიკალობა არავინ დამწამოს; მე მინდა ცხოლოთ არ დაგვეკარგონ და შენახულნი იქნენ ჩვენი ძველი ხელოვნების ნაშთი. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ იმტენი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქნას, რომ გადახუროს ძველი ეკლესიები, კარები გაუკეთოს, დარაჯი დაუყენოს და ამნაირათ დაეპატრონოს ჩვენი ძველი ხელოვნების ნაშთებს. ძველი ხელოვნების ნაშთებს სწორეთ ბერები უნდა დაუდგენ დარაჯებათ. საყვედურის ლირსია არა მარტო წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოება. ძალიან გულგრილათ, უხალისოთ ვეწერებით წ. კ. გ. საზ. წევრებათ. ვინც არი წევრათ, არც იმათ შეაქვთ საწევრო ფული. რა გააკეთოს წ. კ. გ. საზოგ. გამგეობამ, თუ საშვალებას არ მივაწვდით. ერთმა პოლონელმა შურით მოისმინა, რომ ჩვენ ამისთანა დაწესებულება გვქონდა, მაგრამ როდესაც გაიგო წევრების და შემოსავლის რაოდენობა, დიდათ გაიკვირა და სთქვა, რომ ამისთანა დაწესებულება ჩვენ გვქონდეს, მილიონებს მოვაგროვებდით, და სწავლა-განათლებით მთელ პოლონეთს ავაყვავებდითო. ვსთქვათ სხვა და სხვა გარემოება ხელს არ გვიწყობს და ნივთიერათ ღარიბნი ვართ, მაგრამ რომ არც ჩვენი ვინაობა ვიცით! არ გვაინტერესებს ჩვენი წარსული, არა გვაქვს ჩვენი ისტორიის ცოდნა. ეს ვისი ბრალია? ნივთიერათ ლატაკნი სულიერათაც ლატაკნი ვართ. ვსთქვათ ჩვენი მდვდლები ღარიბები არიან და ყველას არ შეუძლია წ. კ. გ. საზ. წევრი იყოს. მაგრამ რადესაც სემინარია გათავებულმა ახალგაზრდა მდვდელმა არ იცის ზარზმის ეკლესია სომხების აშენებულია თუ ქართველების, მაპატიეთ, მაგრამ მე ამის მიზეზათ სიღარიბეს კი არა უვიცობას, წარსულისადმი ინტერესის უქონლობას ჩავთვლი. გურიიდგან აბასტუმანში მოსულს მდვდელს ზარზმის ეკლესიის ამბავი ვუამბე. სემინარია დამთავრებულმა მდვდელმა თურმე არ იცოდა რომ ზარზმის ეკლესია, რომელიც აწერილია ბევრი ჩვენი ისტორიკოსებისაგან და მოგზაურისაგან და წარმოადგენს შესანიშნავს, იშვიათს ნაშთს ჩვენის ძველი ხელოვნებისას და მკითხა, ვისია ზარზმის ეკლესია, ხომ სომხების აშენებულიაო! სწორეთ ასეთი კითხვა, ვისი აშენებულიაო ზარზმის ეკლესია, მომცა ერთმა ახალგაზდა ცნობისმოყვარე ნაფიცმა ვექილმა. რა კაი დროს მოგვასწრო ძმობა—ერთობამ! მე მწამს, რომ გამაჰმადიანებული საქართველოშიაც მალე შემოვა ძმობა-ერთობის მოძღვრება და მაშინ გაერთიანებული საქართველო ძმურათ დაადგება განახლებულ ცხოვრების გზას. ამისი ნიშნები ეხლაც არი: აი ოსმანა ბლიაძე, ჩემ კითხვაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გაუგონია ძმობა—ერთობა, მომიყვა—„ერთი წელიწადია, რაც ჩვენში ძმობა— ერთობა შემოვიდა და ტყეში შეეედითო“... ძმობა-ერთობის ხმა პირველათ გურიიდგან მოეფინა სხვა საქართველოს კუთხეებს. მოსალოდნელი იყო, რომ გამაჰმადიანებულ საქართველოშიაც იქიდგან გავრცელდებოდა ეს მოძღვრება. ასეც მოხდა. აი „ივერიის“ კორესპოდენცია გურიიდგან, საიდგანაც ვტყობილობთ, რომ მოსაზღვრე გურულები და ქართველი მუსულმანები შეკრებილან ერთ მთაზე და ერთმანეთისთვის ძმობა- ერთობა შეუფიცნიათ.—

20 აგვისტოს ახალციხეში ერთი ღარიბი სტუდენტის სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენას დავესწარი. წარმოადგინეს რუსულათ რაღაც ვოდევილი და მზის დაბნელება. „მზის დაბნელებას“ მარტო ისეთ ჩამორჩენილ ქალაქში, როგორც ახალციხეა, თუ წარმოადგენენ, თორემ სხვაგან ველარ შევხდებით, თუ არ საიუბილეოთ, კარგათ ითამაშა თ. თ—მა. ქართული დასი სამი გვყავსო, თავმომწონეთ მითხრეს ახლციხელებმა. ახალციხე რაღაც მინგრეულ—მონგრეულ ქალაქს წარმოადგენს. შენობებს სქლათ ადევს მტვერი. არც ჭუჩებს ატყვია პატრონობა და მზრუნველობა. როგორც ეტყობა, მცხოვრებნი დიდის ცნობის მოყვარეობით ყურს უგდებენ, რა ხდება იმერეთში და ქართლ-კახეთში, თუმცა თითონ ვერ გამორკვევიან ჯერ ძილს.—

დიდი ხნის სურვილი ავისრულე და მეორე დღეს ერთი ჩემი კაი ნაცნობის თანხლებით ცხენით (ეტლიც დადის) წავედი საფარაში, რომელიც ახალციხიდგან 7—8 ვერსზე მდებარეობს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე კლდეზე აშენებული ამაყათ მაღლა ცაში ამართულია საფარის ეკლესია. ბერებს, უშნოთეთრათ შელესილ შენობებით შემოუზღუდამთ იგი. შებორკილი, ტყვეთ ქმნილი და შეურაცყოფილი გადაჰყურებს ბორჯომის ხეობას. გულსაკლავათ დაშტერებია მტკვარს, თითქოს ემუდარება, შორს წაიღოს იმის ტყვეობის ამბავი და მოჰფინოს ნათესავ ქვეყანას. ვერ გასჭრა ბერი ქრისტესიას ღვაწლმა: პირველი ის დაეპატრონა საფარის ტაძარს, მაგრამ არ გამოუჩნდა ქართველ ბერებში მიმდევარი და საფარას დაეპატრონენ დაუპატიჟებელი უცხო ბერები. 50 ბერში არც ერთი ქართველი ბერი არ ურევია. საფარის ტაძარი, როგორც ზარბმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არი ნაშენი თლილის ქვით. გარშემო მრავლათ აქვს ჩუქურთმა და ქართული წარწერა. დასავლეთით შესავალი (придѣлъ) ჩუქურთმით, ორნამენტით და მრავალ წარწერით არი მორთული ყველა კედლები, თაღები ჩუქურთმით და ორნამენტით ნაკეთები ქვით არი ნაშენი. ძნელათ რომ ასე ბევრი ჩუქურთმა სხვაგან სადმე იყოს ერთ ადგილას თავმოყრილი, როგორც საფარის ეკლესიის შესავალში. მარტო ამ შესავლის სანახავათ ღირს საფარაში მოსვლა განსაკუთრებულ ყურადღებას მნახველისას მივაქცევ იმაზე. შიგნით მხატვრობა ყველა კედლებზე ერთნაირათ არი შენახული. სამხრეთის კედლებზე კარგათ არი შენახული მხატვრობა. აი წმ. საბა, რომელსაც აწვდის საფარის ეკლესიის გეგმას ამშენებელი ამ ეკლესიის ახალციხის ერისთავი. იმის გვერდში დახატული არიან სამი იმისი შვილი. ზევით იწყება სურათები სალმთო ისტორიიდგან. გუმბათში კარგათ არი შენახული ქრისტეს სურათი. ჩრდილოეთის კედლის, საკურთხევლის და დასავლეთი კედლის მხატვრობა ძალიან შელახულა და ყველაფერი გარკვევით არ მოსჩანს. სამხრეთით საფარის ტაძარს მიშენებული აქვს მღვთის მშობლის მიძინების ეკლესია. უფრო მორჩილი ისიც თლილის ქვით არი ნაშენი. მთელი ეკლესია თეთრათ არი შეღებილი. აქა იქ თაღებში დარჩენილი სურათების ნაშთები მოწმობენ, რომ ეს ეკლესიაც ისევე დასურათ-ხატებული ყოფილა, როგორც საფარის ეკლესია. ჩამორეცხა წვიმამ და ღვარმა, თუ უწმინდურმა ძველი თუ ახალი მოდგმის ბარბაროსის მარჯვენამ ჩამოფხიკა მხატვრობა კედლებიდგან ძნელი გამოსაცნობია.—

იმისი თქმა კი, რომ ჩვენის უვიცობით და დაუდევრობით ბევრი დავკარგეთ, ადვილია. დრო არი ჩვენს ერთად ერთ დაწესებულებაშა რეფორმა—განახლება შევიტანოთ. მივსცეთ მეტი საშუალება და შეძლება წ. კ. გ. საზოგადოებას, რათა იგი დაეპატრონოს იმ ძველ ნაშთებს, 'რომელნიც ჯერ არ დაუჩემებია ვინმეს, ან სულ არ განადგურებულან. თუ ჩვენი საზოგადოება მეტ თანარგძნობას არ ალმოუჩენს წ. კ. გ. საზოგადოებას, ამ შემთხვევაში მის სასარგებლოთ საჭიროა შემოვიღოთ სავალდებულო გადასახადი, როგორც სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებას ჰქონია დაწესებული.—

ჩემი უკანასკნელი სურვილიც ავისრულე: ამ თვის 8 ვნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე ჭულევი, ვნახე სამოთხე! დიახ, ჭულევის ბუნების სიმშვენიერე სამოთხეს მოგაგონებს: ადამ და ევას აქ უნდა ეცხოვრათ. ზარზმის სანახავათ მიმავალ ჩემ თანამგზავრებს ადიგენის სტანციაზე დავშორდი. მევლუდა ჩოფაძემ ადიგენიდამ ცხენი მოგმაჭირავა და თითონაც გამყვა ჭულევში, რომელიც ადაგენიდან იქნება 6—7 ვერსზე (აბასტუმნიდან 27, ახალციხიდან 32-34 ვერსია). მევლუდას იმერეთში ყვლია, ქართულს კარგად ლაპარაკობს. „ძმობა—ერთობაც“ გაუგონია. ჩვენ ძველათ ქართველები ვყოფილვართო, მითხრა. ჩვენი სჯული სხვაა, მაგრამ საქმე სისხლიაო და სისხლით ნათესავები მუდამ ძმები იქნებიანო. ავიარეთ სოფ. ადიგენის ალმართი. ადიგენის თავზე გავივაკეთ და დავინახე ჭულევის მთა და კლდეები, რომლების შუაც ჭულევის ეკლესია იმყოფება. ცოტა ხნის შემდეგ მივადექით იმ კლდეს, სადაც ალაყაფის კარებივით შესავალია ჭულევის ხეობაში, ანუ უკეთ ქვაბში. ორ მაღალ კლდეს პირი უქნიათ, დაშორებიან ერთმანეთს 10—15 საჟენის მანძილზე, რათა მიეცათ კაცისთვის და წყლისთვის შესავალ-გასავალი გზა. როდესაც ცოტა ავიმაღლეთ და ორ კლდეს შუა მოვხვდი, უეცრათ თვალწინ გადაშალა რაღაც ფანტასტიური კალმით და სიტყვით აუწერელი დიდებული სურათი—ეს იყო ჭულევი. მეტის სიამოვნებისაგან აღელვებული, გაფითრებული, ა იმ სალ კლდესავით გავშეშდი და დიდ ხანს თვალი ვერ მოვაშორე უცხო წარმტაც სანახაობას: ირგვლივ მთებით და კლდეებით შემოზღუდული სუყველა მხრით, ტყით დაფენილი კალთები, შიგა და შიგ ველ-მინდორი, იქა-აქ მოჩუხჩუხე წყაროები, შუა გულში მომდინარე წყალი, რომელიც გამოჰქუხს მაღლა კლდეში და ახმაურებული აღვიძებს მყუდრო, მიდუმებულ ბუნებას ჭულევი წარმოადგენს მომხიბლავ სანახაობას. შუაგულში ცოტა მაღლობზე მოჩანს ჭულევის ეკლესია, რომელიც გვირგვინათ დაუდგამს კაცს ამ ბუნების სიმშვენიერისთვის. ჭულევის ეკლესია მისი წარმტაცი გარმიდამოთი წარმოადგენს დიდებულ სურათს, რომლის შექმნაში გამოიხატება სრული გარმონია—შეთანხმება ბუნების და ხელოვნების შუა. სიგძე-სიგანე მთების წვერებ-შუა იქნება 4-5 ვერსი. ძირს 2-3 ვერსი. მარცხნით ფერდობი ფიჭვნარის ტყით არი დაფენილი. პირდაპირი მთის კალთები ნაძვნარით. მარჯვნივ შერეული ტყეა, წიფელ-ყვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ აფერადებული, თითქოს დახატულიაო. ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით არი ავარდნილი ცაში ორი კლდე, და-ძმასავით ერთმანეთს ჰგავენ, სიტურფე-სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებიან; ჩრდილო-აღმოსავლეთით ძარტო ამართულა მაღალი კლდე, რომელიც ნაზათ გაჰყურებს გაღმა ორ კლდეს. მე არ შემიძლია ჭულევის ზღაპრული სიტურფის აღწერა. ჩემი წერას უჩვეული კალამი არ მემორჩილება, სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ მკითხველს მაინც და მაინც გავულვიძო ჭულევის ნახვის სურვილი. ბევრი იტყვის, მოცლილი კაცის საქმეა აქეთ-იქით ხეტიალიო. შენც, საქმის მოყვარე მკითველო, დამეთანხმე, ხშირათ უსაქმოთ დადიხარ, არც თეატრებს აკლდები, ბაღებშიაც იქნება ქეიფი გიყვარს, ალბათ კარტის თამაშში დიდ დროს ჰკარგავ! 4-5 დღე როდისმე შენ სიცოცხლეში ერთხელ მოიცალე, წამოდი აქით, ნახე საფარა, ზარზმა, ჭულევი და დამეთანხმები, რომ მე არაფერს არ ვაზვიადებ და მადლობას შესწირავ განგებას, რომ ჭულევის უნახავი არ მოკვდები. კავკასიის ქედზე სამხედრო გზით მივლია; რაჭაში კავკასიის მთების ძირამდე მივსულვარ, ვყოფილვარ ყირიმში, იალტაში, კისლოვოდსკში, მაგრამ ამნაირი საარაკო ლამაზი ბუნება არ მინახამს, რანაირიც მე ჭულევში ვნახე და არ მინახავს კიდევ იმიტომ, რომ ალბათ არსად ამისთანა არაფერი არ იქნება. რა მშვენიერი სანატორია, კოლონია გაიმართება აქ. ექიმი ლამბაშიძე რომ პატარა ცემის სიახლოვეს და რკინის გზის პირათ მდებარეობას არ შეეცდინა და კიდევ ეძებნა საავარაკო ადგილი, უეჭველათ ჭულევზე გაჩერდებოდა და არც შესცდებოდა. ჰაერი, წყალი, მომხიბლავი ბუნება ისეთ ადგილათ ხდიან ჭულევს, სადაც კაცი დაისვენებს სულიერათ და განიკურნება ხორციელათ. ეს არი ადგილი, სადაც კაცი იცნობს ღვთიურ შემოქმედების ძალას, ბუნების სიმშვენიერეს, მის სიდიადეს. — სამრეკლოს ნახევარი სამხრეთით ჩამონგრეულა. თლილის ქვით ნაშენ ეკლესიას ბევრი ქვები აქვს ჩამოცვივნული კედლებიდან. მისი გარმიდამო სამსეა მიყრილ-მოყრილი ჩუქურთმიანი ქვებით. სიდიდით ცოტა ნაკლებია ზარზმის ეკლესიაზე. შევედი შიგ ეკლესიაში..... გული დამწყდა, როდესაც თვალი მოვავლე შელახულ დაზიანებულ მხატვრობას. იგივე დიდებული ტაძარი, როგორც ზარზმის, იგივე მშვენიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, საუცხოვო მხატვრობა..... და ახლა მარტო ნანგრევები... შელახული, შებლალული მხატვრობა. სამხრეთის კედელზე შემოსავალი კარების თავზე კარგათ არი შენახული ამშენებელი ერისთვის სურათი, ამ ეკლესიის გეგმით ხელში. იქვე კიდე რამდენიმე სხვა სურათია. ამ სურათების პირდაპირ მარჯვნით არი კარგათ შენახული დიდი მხატვრობა—გარდამოხსნა ქრისტესი. საკურთხეველში ორი-სამი წმინდანის სურათი გადარჩენილა. დასავლეთის კედლებზე, თაღებში და სვეტებზე მხატვრობა ძალიან არ არის დაზიანებული და ადვილათ შეიძლება იმისი აღდგენა. მხატვრობა კი საკურთხევლისნაწილის, გუმბათის და ჩრდილოეთის კედლის სამუდამოთ გამქრალათ, დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან უწმინდურ და რეგვენი კაცის ხელს დანით ჩამოუფხეკია და ჩაქუჩით ჩამოუნგრევია. ასე, რომ ამ ადგილებზე გატყაული, გაძარცული თლილი ქვა მოსჩანს მარტო. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ სახურავი ეკლესიის კარგათ არი შენახული და წვიმა შიგნით სულ არ მოხვდებოდა, თუ კაცის ხელს არ დაეზიანებია, მხატვრობა კარგათ იქნებოდა შენახული. ბევრი დაკარგულა, მაგრამ რაც შენახულა, იმას რომ ვუპატრონებდეთ, ისიც დიდი ამაგი იქნება ჩვენის მხრით. საჭიროა წ. კ. გ. ს. გამგეობამ ახლავე უპატრონოს ჭულევის ეკლესიას: შემოავლოს გალავანი და კარები გაუკეთოს, რომ პირუტყვი არ შედიოდეს.

მე-18 საუკუნის ნახევრიდან მთელი მე-19 საუკუნე ჩვენ ერს უმოქმედო ხანა დაუდგა. ჩვენი ხალხის ისტორია და შემოქმედებითი ძალა შეჩერდა ერთ წერტილზე. ის მაინც შევინახოთ, რაც ჩვენმა წინაპრებმა შექნეს და ბნელ ძალებს ჯერ სავსებით არ მოუსპიათ და წარუტაცნიათ.

ნეს. პეტრ.-შვილი

1905 წ. 12 სექტემბერი ქ. ბაბა აბასტუმანი.

46.781/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 6.781/3